



ბეერთი იცხაკ

"ბეერთი იცხაკ"-ი იბეჭდება ჩვენი მასწავლებლისა და სულიერი წინამძღოლის რ. იცხაკ ზილბერის ხსოვნის საპატივსაცემოდ, რ. ი. პოლიშუკის ხელმძღვანელობით.

გათვალისწინებით იმისა რომ ტექსტი შეიცავს წმინდა თორის სიტყვებს, გაზეთი უნდა იქნეს მოთავსებული გნიზაში!

კვირის ფარაშა

ხუკათ

კვირის თავის მოკლე შინაარსი - რაბი იცხაკ ზილბერი

კვირის თავი "ხუკათ"-ში თორა მოთხრობას იწყებს რიტუალური განწმენდის ერთ ერთი კანონით - "ფარა ადუმა". თორა მოგვითხრობს ასევე, ებრაელთა მოგზაურობაზე უდაბნოში უკანასკნელ მეორმოცე წელს, ამასთან ერთად მოხდა ბევრი მნიშვნელოვანი რამ: გარდაიცვალა მირიამი და აჰარონი, მირიამის გარდაცვალებასთან ერთად ისრაელის ერმა დაკარგა წყალი - ჭა, რომელიც მირიამის სიწმინდის დამსახურება იყო, რითიც ერს შეექმნა პრობლემები დაკავშირებული წყალთან. წმინდა მიწასთან მიახლოებასთან ერთად ებრაელებს გზად მოუხდათ დასახლებულ ადგილებში გავლა ან მათი გვერდის აქცევა, მაგალითად - ედომს მათ გვერდი აუარეს, მაგრამ ემორეელებთან გააჩაღეს ომი. კვირის თავი მთავრდება იმით, რომ ებრაელებმა მიაღწიეს ერეც ისრაელის საზღვრამდე და დაბანაკდნენ იარდენის ნაპირზე, ქალაქ იერიხოს საპირისპიროდ.

ვასრულებთ მიცვას თუნდაც არ გვესმოდეს აზრი მისი

რაბი იოსეფ ხაიმი ბაღდადიდან - ბენ იშ ხაი

"ეს არის დადგენილება თორისა, რომელიც დაავალა გამჩენმა ..." (ბამიდბარ 19:2)

[მთარგმნელისგან: სიტყვა, რომლითაც თორამ ამ მონაკვეთში დაგვიჩერა 'ფარა ადუმა'-ს დადგენილების შესახებ არის - ხუკათ - חוק, სიტყვა ხოკისა, ხოკ-ი კი თავის მხრივ წარმოადგენს კანონს თორისა. რიგი კანონებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან ხოკ-ის ჯგუფს მათ ახსნა არ აქვთ, ანუ ადამიანის სიბრძნე ვერ წვდება მათ სიღრმეს და ვერ ჰპოულობს მათვის ლოგიკურ ახსნას.]

კომენტატორებმა თორისა დასვეს კითხვა თუ რატომ არ დაწერა პირდაპირ თორამ "ეს არის კანონი - ხუკათ - ფარა ადუმისა ..." და დაწერა "ეს არის დადგენილება თორისა,...", ამ თავში ხომ საუბარი მიდის ფარა ადუმაზე (წითური ძროხა, რომელიც გამოიყენება რიტუალური სიწმინდისთვის, ანუ მისი ფერფლი გაზავებული შესაბამის წესით წყალში ასუფთავებს ადამიანს რიტუალური უწმინდურებისგან, ფარა ადუმას აქვს ბევრი კანონი, რომელიც მკაცრად უნდა იყოს დაცული, მაგ: მას არ უნდა

ჰქონდეს არც ერთი სხვა ფერის თმა გარდა წითელისა, მასზედ არასდროს არ უნდა იყოს დადებული უღელი, არ უნდა ჰქონდეს არანაირი ზიანი და ა.შ) და თავის მხრივ ფარა ადუმა არის ერთ ერთი მიცვა თორის 613-დან და არ არის მთელი თორა.შევეცდები ავხსნა ეს სირთულე გამომდინარე ბრძენების ახსნიდან თეჰილიმის შემდეგი ნაწყვეტისა: **"კანონია ისრაელისთვის ის, დადგენილება გამჩენის იაკობისა"** (თეჰილიმი 81:5). არის მიცვები, რომლებიც ისრაელისთვის არის "ხოკ"-ი - არ აქვს ლოგიკური ახსნა, მაგრამ გამჩენისთვის იაკობისა ისინი არის როგორც დადგენილება - ანუ გამჩენისთვის მათ აქვთ საკმარისი ახსნა და აზრი, უბრალოდ განიზრახა გამჩენმა ამ აზრისა და ახსნის დაფარვა ისრაელისთვის. საჭიროებს გავიგოთ, რატომ არ გაგვანდო გამჩენმა მიზეზი ამ დადგენილებისა? ახსნა შემდეგია, გამჩენმა გადაწყვიტა გამოეცადა ისრაელი, ისმენენ თუ არა ისინი გამჩენის სიტყვას, მაშინ როდესაც მათ არ ესმით აზრი მისი სიტყვებისა. ახლა კი გასაგები ხდება თუ რატომ დაავალა გამჩენმა ისრაელის ერს ფარა ადუმას მიცვა თორის მიღებამდე სინაის მთაზე, მიზეზი იყო რათა გამოეცადა ისრაელის ერი, იყვნენ თუ არა მზად შეესრულებინათ მიცვები, რომელთა აზრის მიწვდომას მათი ინტელექტი და აზრობრივი განვითარება ვერ მისწვდებოდა, შესაბამისად იქნებოდა მათვის გაუგებარი,

ამით კი გახდებოდა ნათელი იმსახურებდა თუ არა ისრაელის ერი წმინდა თორის მიღებას. თუ არ შეასრულებდა ისრაელის ერი მიცვებს, რომლებიც მათვის იქნებოდა გაუგებარი, მაშინ არ იქნებოდა ჩვენი ერი ღირსი მიელო თორა, ზუსტად ამიტომ ამოირჩია გამჩენმა გამოცდად ისრაელისა ფარა აღუმას მიცვა, რადგან ის განსაკუთრებით გაუგებარია ადამიანის შეგნებისთვის, განსხვავებით სხვა კანონებისა. ფარა აღუმას აქვს ორი განსაკუთრებულობა, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთმანეთს: ა) ასუფთავებს რიტუალურად უწმინდურს ბ) რიტუალურად წმინდას კი აუწმინდურებს. (ანუ ქოჰენი, რომელიც ასუფთავებდა წითური ძროხის ფერფლით, რიტუალურად უწმინდურს - ცოდვილს, ან ვინც მიიღო უწმინდურობა მიცვალებულისგან, თვით ქოჰენი ხდებოდა რიტუალურად უწმინდური.) რადგანაც განიზრახა ისრაელის ერმა მინდობა გამჩენზე და სიარული მისი ნაბრძანები გზით, დაიმსახურა და მიიღო წმინდა თორა სინაის მთაზე. ამ ახსნით გავეცით პასუხი ზემოთ დასმულ კითხვას თუ რატომ არ დაგვიწერა გამჩენმა "ეს არის კანონი - ხუკათ - ფარა აღუმისა ... " და დაწერა "ეს არის დადგენილება თორისა,..." რადგან ზუსტად ფარა აღუმის დადგენილება გახდა გამოცდა ისრაელისა იმსახურებდა თუ არა ის წმინდა თორის მიღებას!



ძალა თვალისა

ნაწილი #3

თორა გვაფრთხილებს და ეს არა მხოლოდ გაფრთხილება არამედ, მკაცრი აკრძალვაა: **«და არ გაჰყვებით თქვენს თვალებს, რომელიც თქვენ გიბიძგებენ გარყვნილებისკენ»** (კირიათ შმა — ბემიდბარ 12:39). ამ ლექსიდან ჩვენი ბრძენები იერუსალიმის თალმუდში სწავლობდნენ (ბერახოთ 1:5): არის ორი ფაქტორი, რომელიც უბიძგებს ადამიანს ცოდვისკენ — თვალი და გული (ბინძური ფიქრებისა და აზრებისკენ). ვილნიუსელი გაონი გვასწავლის — გამომდინარე იქიდან რომ დანახულის ძალა ბევრად მკვეთრი და ძლიერი ვიდრე ბინძური აზრები, ადამიანი ვალდებულია გაფრთხილდეს ძალიან რათა არ იყუროს ცოდვისკენ.

იეშიაჰუ წინასწარმეტყველი — მას ვინც ინახავს თვალებს და არიდებს მათ ცუდისგან, აქებს და ადიდებს შემდეგი სიტყვებით: მოსიარულე გზებზე სიწმინდისა ... და ამრიდებელი თვალისა, რათა არ ნახონ ბოროტი. იქნება

მკვიდრი მადლობისა(სულიერი სიმაღლე იგულისხმება), კლდეები საყრდენი მისი, პური აქვს მას, წყლით კი უზრუნველყოფილი» (იშაიაჰუ 33-15:16). იერუსალიმის თალმუდში (ბერახოთ 1:5) ნათქვამია: ბრძანებს გამჩენი: **თუ მომცემ გულსა და თვალებს შენსას — ვიცი რომ ჩემი ხარ შენ.** ანუ ადამიანი შემნახველი გულისა (ვნებებისგან) და თვალებისა ცუდი სანახაობისგან, უსათუოა რომ წმინდანი (უნდა გვახსოვდეს ისიც რომ, მას ვისაც ძალიან უჭირს ამის გაკეთება, მისი დამსახურება ყოველი ძალისხმევითვის ბევრად მეტია ვიდრე ყველაზე დიდი წმინდანისა, ვისთვისაც ეს იოლზე იოლია მას მერე რაც მან გადალახა სირთულეები და ინახავს თვალებს, ამიტომ საჭიროა ყოველ შესაძლო მომენტში ვცადოთ და მოვარიდოთ ჩვენი თვალი და გული ბოროტს, გამჩენი დაგვიფასებს) გამჩენის გზაზე, ამ მტკიცებულებას ბრძენები სწავლობენ შლომო ჰამელეხის «მიშლეი»-დან: **«შვილო ჩემო მომეცი გული შენი, და თვალები შენი იყოს მდევნელი გზებისა ჩემის»** (მიშლეი 23:26).

.....

ტკივილი - გამომუღავნება შექმნილი სიბოროტის - მართალია?

რაბი შიმშონ დავიდ პინკუსი

ნაწილი # 1

" შექმნილი შუქისა და შექმნილი წყვიადისა, შექმნილი მშვიდობისა და შექმნილი სიბოროტისა, მე ვარ გამჩენი, მქმნელი ყოველისა ამისა."(იეშიაჰუ 45:7)

ამ ქვეყნიერების ერთ ერთ რეალობას - ტკივილი წარმოადგენს. ტკივილი - არის შეგრძნება, რომელსაც ჩვენ დაფიქრების გარეშე, განსაზღვრებად - სიბოროტის გამოვლინებას ვანიჭებთ, რომელიც გამცენის მიერ არის შექმნილი. მას ჩვენ ხშირად ვაწყდებით და არც თუ ისე ხშირად სწორ შეფასებას ვაძლევთ. მაგრამ ამ ყველაფერს თუ შევხედავთ თორი კუთხით, შეიძლება ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ გაადვილდეს და ბევრი პრობლემაც გადაჭრადი გახდეს.

ნათქვამია თორაში : **" დაე, იყოს ის, განკურნული ბოლომდე "**, ჩვენი ბრძენები აქედან გვასწავლიან : **აქედან ჩვენ ვსწავლობთ, რომ ექიმს აქვს უფლება განკურნოს პაციენტი.** როდესაც, გამჩენი ადამიანს უგზავნის ავადმყოფობას, მას აქვს უფლება შეეცადოს განიკურნოს მისგან. დღევანდელობაში, ერთ ერთი ყველაზე დიდი ადგილი მედიკამენტებში - ტკივილგამაყუჩებელს

უჭირავს, ადრე კი ძირითადი დანიშნულება ექიმისა იყო განეკურნა. დღეს მეცნიერება დაკავებულია, თუ როგორ შეამციროს ტკივილი, შემთხვევაში, როდესაც პაციენტი განკურნებას არ ექვემდებარება. ნებისმიერ ფარმაცევტს შეუძლია მოგიყვით რომ, 15% წამლებისა გამოშვებულია რათა განიკურნოს ადამიანი, დანარჩენი კი მხოლოდ ტკივილის მოხსნისა თუ მისი შემსუბუქების.

წინა თაობებში იყო მიღებული, რომ ტკივილი ადამიანის თანამგზავრია ცხოვრების მანძილზე. ჰყვებიან ერთ წმინდან ადამიანზე, რომელსაც ფხეები მძიმედ ჰქონდა დაავადებული. ღრმა სიბერეში იგი დაითანხმეს მიემართა ექიმისთვის, რის შედეგადაც იგი განიკურნა, ტკივილმა გაუარა, თქვა წმინდანმა : " უერად მე მივხვდი, რომ გამჩენის მიერ შექმნილ სამყაროში შეიძლება სიარული, ტკივილის განცდის გარეშე ... მე, კი სულ ვფიქრობდი, რომ ტკივილი განუყოფელი ნაწილია ცხოვრებისა. ადამიანი - ხედავს, ესმის, განიცდის და გრძნობს ... ".

დღეს კი ყველაფერი შეიცვალა, თუ კი ერთი წამით ადამიანს რამე ატკივდება, იქვე ტკივილგამაყუჩებელს იღებს, თუ არ შეეღობა, საჭიროა გავზარდოთ დოზა, ტკივილის განცდისას არ შეუძლია არაფერზე კონცენტრირება, ყველაფერი მის გარშემო კვდება ... ის მთელ შემართებით ცდილობს თავი დაიხსნას ტკივილიდან. დღეს კარგ სტომატოლოგად ითვლება - ვინც უმტკივნეულოდ კურნავს კბილს. გამაყუჩებელი ნევსის გაკეთებასაც კი წინ უძღვის გამაყუჩებელი,რათა ნევსის გაკეთებამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს.

და მაინც ღირს დაფიქრება, არის კი ტკივილი ზედმეტი ჩვენს ცხოვრებაში? ნამდვილად არის ის გამოვლინება სიბოროტისა? ან იქნებ მას აქვს თავისი დანიშნულება?

.....

ჰალახა

ებრაელის სამი ნიშანი — თეფილინი

"და გექნება შენ, ნიშნად მკლავსა, და სამახსოვროდ თვალებსა შორის შენისა..." (ბო-13:09) — თორის კომენტატორი რაში(რაბი შლომო იცხაკი) გვიხსნის: ამ მონაკვეთში თორისა, გამჩენი გვაგვალდებულებს რომ მიცრაიმიდან გამოსვლა იყოს ჩვენი ნიშანი (გვახსოვდეს მუდამ) დავეწროთ სამახსოვროდ და დავიზნოთ ხელსა და თავზე.

"და გექნება ნიშნად მკლავსა შენსა, და მშვენებად თვალებსა შორის შენისა, რადგან გამოგვიყვანა მკლავითა ძლიერითა

მიცრაიმიდან ღმ-რთმა". (ბო-13:16) - რაში (რაბიშლომო იცხაკი) გვიხსნის: **თვალებს შორის** - ეს არის თეფილინი.

ბენ იშ ხაი — რაბი იოსეფ ხაიმი ბალდადიდან - სწავლობს თორის შემდეგი ნაწილიდან: **" და გექნება შენ, ნიშნად მკლავსა, და სამახსოვროდ თვალებსა შორის შენისა..."** — აქ არის წყარო, საიდანაც დაგვაგვალდებულა გამჩენმა თეფილინის დადებაზე. გამჩენმა დაგვაგვალა მარცხენა ხელზე დავიდოთ თეფილინი, გულის საპირისპიროდ, თავზე კი ტვინის საპირისპიროდ, რადგან იყოს ღმ-რთის სამსახურში ჩვენი თავი და გული, რადგან თავია შემკრები ადამიანის ფიქრებისა — გონება, ხოლო გული გამტარი სიბრძნისა. რადგანაც თეფილინის საშუალებით დაეშვება სიწმინდე მათზე, მათი განწმენდით კი განიწმინდება მთელი სხეული რადგან, გულსა და თავს მიჰყვება სხეულის ყველა ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ არ დაიდებს ებრაელი თეფილინს, იქნება ეს ორი ორგანო წუნდებული და შესაბამისად მთელი სხეული იქნება წუნდებული. გონიერი მიხვდება და შეიგნებს, რადგან ცნობილია — გულშია სიბრძნე და თავში გონიერება, საერთო ჯამში კი ორივე ერთად, ერთ საქმეს ემსახურება. თუ იქნება გული წმინდა (სუფთა ცუდი ვნებების, სურვილებისა და მისწრაფებებისგან, რომლებიც გულიდან მოდის), შესაბამისად განიწმინდება თავიც, ვხედავთ რომ გულია საწყისი, როგორც ბრძანებენ ბრძენები ბაბილონის თალმუში (სანჰედრინი): გამჩენი მოითხოვს გულს, რადგან სიწმინდეა ის გონებისა.., და ასევე ცნობილია, რომ თვალები არიან გაგრძელება გულისა (ვნებების), ასევე ბრძანეს ბრძენებმა (ზოჰარი): გული და თვალები არიან ხელისშემწყობნი ცოდვის ჩადენაში. ამიტომაც დაგვაგვალა გამჩენმა რომ გვექონდეს თეფილინი თავისა — წმინდა ბეჭდათ თვალებს შორის, რომ იყოს სიწმინდე მათზე და არ გაუწმინდურდებიან (თვალებზე). თეფილინი მკლავისა — რათა იყოს გავლენა სიწმინდისა გულზე, რათა არ გაუწმინდურდეს ის.

თეფილინის დადება - არის მიცვა — გააკეთე ანუ დამავალდებულებელი თორიდან, მიუხედავადამისა ბრძენები ბევრს გვაფრთხილებენ ზეპირ თორაში მის სიმკაცრესა და დიდ მნიშვნელობაზე: (შარეი თეშუვა) ებრაელს, რომელსაც არც ერთხელ არ დაუდია თეფილინი, ითვლება დანაშაულის ჩამდენად სხეულით. სასჯელი მათი მკაცრია. ასევე ნაბრძანებია მიდრამში: წარსდგა ისრაელის ერი გამჩენის წინ და უთხრა 'გვინდა შევასრულოთ მთელი თორა, მაგრამ არ გვძალუძს'- უპასუხა გამჩენმა — 'დაიდეთ თეფილინი (ყოველდღე) და ჩავითვლით თითქოს

იკავდით მთელ თორას', როგორც ნათქვამია: და იყოს თორა ღმ-რთისა პირზე შენზე', და წერს სმაგი (თორის დიდი კომენტატორი, ძირითადად კანონის განხრით): 613 მიცვა დაგვავალა გამჩენმა თორიდან, მაგრამ არაა არც ერთი მათგანი ნიშანი ებრაელისა, გარდა სამისა: **მილა, შაბათი, თეფილინი**, რომ ნათქვამია სამივეზე **ნიშანი ებრაელობისა**. მათი საშუალებით ავლენს და ამტკიცებს ებრაელი, სამსახურს ღმ-რთისას. როგორც ნათქვამია: **"ორი მოწმის საშუალებით დადგინდება ჭეშმარიტება"** (სინამდვილეში აქედან სწავლობენ სასამართლოზე, რომ არ შეიძლება ერთი მოწმე ჩაითვალოს მოწმედ, არამედ მინიმალურ რიცხვს მოწმეებისა წარმოადგენს — ორი) ესენია ბრით მილა და შაბათი. ებრაელი არ ითვლება სრულ ფასოვნად თუ არ 'ჰყავს' მუდამ თან ორი მოწმე, რომლებიც მოწმობენ მის ებრაელობაზე. **შაბათსა და კაი დღეს**, ებრაელი თავისუფალია თეფილინის მიცვისგან, რადგან თვით ეს დღეები ითვლებიან **ნიშნად**.

.....
მშობლის პატივისცემის მიცვა და სხვა მიცვები

ხდება ხანდახან, როდესაც ადამიანი დაკავებულია ამა თუ იმ მიცვის შესრულებით, მას კი მშობელი სთხოვს დახმარებას, ჩნდება კითხვა - როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა მივატოვოთ მიცვა, რომელსაც ვასრულებთ და დავეხმაროთ მშობელს - ანუ შევასრულოთ მშობლის პატივისცემის მიცვა? თორა გვასწავლის - ადამიანი დაკავებული მიცვით, ვალდებულია დაასრულოს ამ მიცვის შესრულება და შემდეგ შეასრულოს სხვა, არ შეიძლება რომ მიცვა იქნეს მიტოვებული შუაში თუნდაც სხვა მიცვის გამო, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი როგორიცაა - მშობლის პატივისცემა.

მაგრამ არის გამონაკლისი - თორის სწავლა, მიუხედავად იმისა რომ, თორის სწავლა არის ყველაზე დიდი და შედის 613 თორიდან დავალებულ მიცვათა რიცხვში, მიუხედავად ამისა სწავლის შეწყვეტა ნებადართულია სხვა რაიმე მიცვის შესასრულებლად, რადგან თორის სწავლის მიზანს წარმოადგენს, რათა ვისწავლოთ - თუ როგორ შევასრულოთ მიცვები სრულფასოვნად. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მიცვა, რომელიც მოვიდა თორის სწავლის დროს, უნდა იყოს გადაუდებელი და არ უნდა იყოს სხვა ვინც კი შესძლებდა მის შესრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეიძლება სწავლის და არც სხვა მიცვის მიტოვება. გამოდის, თუ შვილი სწავლობს თორას, მშობელმა კი მოუწოდა მას დახმარებისთვის, იმ შემთხვევაში თუ არ არის შესაძლებელი ამ თხოვნის - მიცვის შესრულება შესაძლებელი მოგვიანებით, ასევე არ არის ვინმე სხვა ვინც შეძლებდა დახმარების გაწევას მათვის, შვილი ვალდებულია შეწყვიტოს სწავლა და დაეხმაროს მშობელს.

ისეთ შემთხვევაში როდესაც შვილს ერთად მოადგა ორი მიცვა, ერთი მშობლების პატივისცემა, ხოლო მეორე ნებისმიერი სხვა მიცვა, ვალდებულია შვილი შეასრულოს მშობლის პატივისცემის მიცვა, რადგან ის უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო მეორე მიცვას შეასრულებს მოგვიანებით. მაგრამ, თუ მეორე მიცვა არ ითმენს და არ არის სხვა ვინც კი შეძლებდა მის შესრულებას, შვილი ვალდებულია შეასრულოს მეორე მიცვა ხოლო შემდეგ კი დაუბრუნდეს მშობლების პატივისცემას. მიზეზი ამისა გამომდინარეობს იქიდან, რომ თვით მშობლები იყვნენ ვალდებულნი შეასრულებინათ მეორე მიცვა.

გისურვებთ ბედნიერ შაბათს!

!שלח תבש

გაკვეთილები	ლეილუი ნიშნათ:	
ორშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი (მამაკაცებისთვის)	იოსეფ ბენ ცევი ხაიმ ავრაჰამ ბენ შალომ	ადგილი თქვენი
სამშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი (ქალბატონებისთვის)	სიმანტოვ თამაზ ბენ იაკობ	
ხუთშაბათი: 21:00 რ. დავიდ ელიშაკოვი (მამაკაცებისთვის)	ბენიამინ ბენ შაბთაი	
მისამართი: ქ. ბათ-იამი, ბორუხოვის 10 „ქართველების სალოცავი“	თამარ ბათ შამილ	განცხადებისთვის
სამშაბათი: 19:30 რაბანიტი ხანა (ქალბატონებისთვის)	ლალი სარა ბათ ბენიამინ ხავა ბათ აბრაჰამ	
მისამართი: ქ. იერუსალიმი „ნევე იაკოვი“ 27, ბინა 22 ტელ: 054-56-13-909	იცხაკ ბენ სიმა დალი ხაია ბათ მირიამ მოშე ხაიმ ბენ ხავა	